დამკვეთის მონაცემები: გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში ადმინისტრაციის განყოფილება ზანდუკელის ქ.16 0108 თბილისი, საქართველო	პასუხისმგებელი პირი: სოფიო მდივნიშვილი-გრიზე ტელ.: +995 -2938945 (701) ელ-ფოსტა: Sophia.Mdivnishvili-Griese@goethe.de

გოეთეს ინსტიტუტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელს მსოფლიოში მოქმედი კულტურის ინსტიტუტია, რომელიც ხელს უწყობს გერმანული ენის შესწავლასა და საერთაშორისო კულტურათაშორის თანამშრომლობას.

ტენდერი: ქეითერინგის მომსახურება საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის ღონისძიებებისთვის

მომსახურების აღწერა

შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს ტენდერს Catering მომსახურებაზე, რომელიც მოიცავს Fingerfood–ის ტიპის საკვების მიწოდებას სხვადასხვა ღონისძიებისთვის. მომსახურება უნდა მოიცავდეს:

- Fingerfood–ის ასორტიმენტი: მინი-სენდვიჩები, ვრაპები, ბუტერბროდები, ბოსტნეულის ჩხირები სოუსით, ყველისა და ხილის ასორტი, მინი-ქიშები, მაფინები, ბრაუნი.
- დესერტები: ხილის ჩხირები, პატარა ნამცხვრები, მაფინები.
- სასმელები (ალკოჰოლური სასმელების გარეშე): მინერალური წყალი, გაზიანი სასმელები, ხილის წვენები, ყავა/ჩაი.
- ადგილზე მიწოდება, მოწყობა და დემონტაჟი.
- ჭურჭლის, დანებისა და მომსახურე პერსონალის უზრუნველყოფა.
- ჰიგიენისა და ხარისხის სტანდარტების სრული დაცვა.

შეთავაზების სტრუქტურა

პირების რაოდენობა	**Fingerfood ასორტიმენტი**	**დესერტები**	**სასმელები**	**ფასი ერთ ადამიანზე ლარი დღგ.ს გარეშე**	**ჯამური ფასი ლარი დღგ.ს გარეშე**
100 ადამიანი	მაგ. მინი-სენდვიჩები, ვრაპები, ბოსტნეულის ჩხირები, მინი-ქიშები	მაგ. მაფინები, ხილის ჩხირები, ნამცხვრები	მაგ. წყალი, წვენები, ყავა/ჩაი		
50 ადამიანი	მაგ. ბუტერბროდები, ვრაპ-როლები, ყველისა და ხილის ასორტი, მინი-პიცა	მაგ. ბრაუნი, ხილის სალათი	მაგ. წყალი, წვენები, ყავა/ჩაი		
10 ადამიანი	მაგ. მინი-სენდვიჩების ასორტი, ბოსტნეულის ჩხირები, ყველი და კრეკერები	მაგ. მაფინები ან ხილის ჩხირები	მაგ. წყალი, წვენები, ყავა/ჩაი		

ძირითადი წესები:

სატენდერო დოკუმენტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ ტენდერის კონტექსტში. დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტების (მათ შორის ამონარიდების) გამოქვეყნება ან მესამე პირისთვის გადაგზავნა შესაბამისი უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე.

ყველა განმცხადებელი ინფორმირებული იქნება სატენდერო განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის ან შესწორების დამატების შემთხვევაში.

სატენდერო შეთავაზების მომზადების პირობები:

1. **შეთავაზების ფორმა**

სატენდერო შეთავაზება დანართებთან ერთად უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე და გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად PDF ფაილის სახით ელექტრონული ფოსტის მისამართზე: ausschreibung-tbilissi@goethe.de

მეილით გაგზავნილი შეთავაზების შემთხვევაში, გარანტირებულია, რომ ისინი გაიხსნება მხოლოდ დედლაინის ვადის გასვლის შემდეგ.

ცვლილებები და დამატებები სატენდერო შეთავაზებაზე და დანართებზე არ არის ნებადართული და გამოიწვევს ტენდერში მონაწილეობიდან გამოთიშვას.

მონაწილეობის პირობები

- Catering–ის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მოქმედი ბიზნეს-ლიცენზიის წარმოდგენა.
- მინიმუმ სამი რეკომენდაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში.
- საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა (საკვების ჰიგიენის რეგულაციები, ინფექციების პრევენციის კანონმდებლობა).

2. ვადები

სრულყოფილი სატენდერო შეთავაზების გამოგზავნის ბოლო ვადაა **2026 წლის 1 აგვისტოს 23:59 საათი. განაცხადი უნდა გამოიგზავნოს pdf-ფაილის სახით, რომელიც იქნება pdf-„პაროლით“ დაცული. ტენდერის საბუთების მიღების ვადის გასვლის შემდეგ პაროლი უნდა გამოიგზავნოს იმავე მეილის მისამართზე ცალკე მეილის სახით ტენდერის დასრულების მეორე დღეს.**

გვიან მიღებული დოკუმენტები არ განიხილება, თუკი განმცხადებელი არ დაასაბუთებს, რომ დაგვიანება მისი მიზეზით გამოწვეული არ ყოფილა.

შერჩეული კანდიდატის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება და დანარჩენი კანდიდატები ინფორმირებული იქნებიან არაუგვიანეს **2026 წლის 31 აგვისტოს** ჩათვლით.

დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შესწორება. ასეთი ცვლილებების დამატება გამოიწვევს ტენდერში მონაწილეობიდან გამოთიშვას.

დაუშვებელია მეორეული სატენდერო შეთავაზებები.

სატენდერო შეთავაზება უნდა მომზადდეს სრულყოფილი სახით შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- **ფასების კალკულაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახდის ჩათვლით, ფირმის დასახელებისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით. კერძო პირის ან ინდმეწარმის შემთხვევაში - პირადი ნომრის მითითებით.**

სატენდერო შეთავაზება უნდა იყოს სრულყოფილი, მოიცავდეს ფასს და ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. არასრულყოფილი სახით წარმოდგენილმა ინფორმაციამ შესაძლოა, გამოიწვიოს ტენდერიდან გამოთიშვა.

3. სატენდერო შეთავაზების შესწორება, ცვლილება ან უკან გატანა

შესაძლებელია სატენდერო შეთავაზების უკან გატანა დედლაინის ვადის გასვლამდე წერილობითი ფორმით/ელ-ფოსტის საშუალებით შეტყობინების საფუძველზე.

4. ტენდერის პროცედურა

ტენდერის გამომცხადებელი განიხილავს შემოსულ სატენდერო შეთავაზებებს და დაამუშავებს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

ხელშეკრულება გაფორმდება იმ ფირმასთან ან კერძო პირთან, რომლის შემოთავაზება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი იქნება გოეთეს ინსტიტუტისათვის. საბოლოო გადაწყვეტილება შეტყობინებული იქნება ელექტრონულად. ხელშეკრულება გაფორმებული იქნება იმ პირობების შესაბამისად, რომელიც გაწერილია სატენდერო განცხადებაში.

5. შეფასება

განმცხადებლები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- **სერვისი და პერსონალი** მეგობრულობა, პროფესიონალიზმი, გარეგნობა და სტუმრებზე მოქნილად რეაგირების უნარი.
- **პუნქტუალობა და სანდოობა** მიწოდება შეთანხმებულ დროს, სწორი ტემპერატურა (ცხელი/ცივი), შეუფერხებელი პროცესები.
- **მოქნილობა და ადაპტაციის უნარი** განსაკუთრებული მოთხოვნების გათვალისწინება (მაგ. ვეგეტარიანული, ვეგანური, გლუტენის გარეშე), სტუმრების რაოდენობასა და ღონისძიების ტიპზე მორგება.
- **დამატებითი სერვისები** ჭურჭლის, დანაჩანგლის, დეკორაციის, სასმელების და საჭიროების შემთხვევაში ლოკაციის უზრუნველყოფა.

6. გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები/ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი შემოთავაზების შერჩევა

- ფასი – 40 %
- ხარისხი და ასორტიმენტის მრავალფეროვნება – 40 %

- პროდუქტების მდგრადობა და ადგილობრივი წარმოშობა – 20 %

7. განმცხადებლის კითხვები

ტენდერთან დაკავშირებული კითხვების გამოგზავნა ელექტრონულად შესაძლებელია შემდეგ მისამართზე ausschreibung-tbilissi@goethe.de (**07.08.2026-მდე)**

ტენდერის გამომცხადებელი არ უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცემას ტელეფონის საშუალებით.

8. განმცხადებლის საჩივარი

თუ განმცხადებლის აზრით, შეთავაზების დოკუმენტები შეიცავს შეცდომებს, შეუსაბამოებებს ან ტენდერის პროცედურის რაიმე რეგულაციის დარღვევას, განმცხადებელმა უნდა აცნობოს ამის თაობაზე წერილობითი ფორმით ელექტრონულად დაუყოვნებლივ და სატენდერო შეთავაზების გაგზავნამდე.

ასეთი ინფორმაცია და პროცედურული საჩივრები უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში

ადმინისტრაციის განყოფილება

ელ-ფოსტა: Ausschreibung-Tbilissi@goethe.de

9. სხვა

ტენდერში მონაწილეობისა და დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები არ ანაზღაურდება